

# დილა

„ჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 4

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა
ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

აპრილი
1961

ეროვნული ბიბლიოთეკა

572
1961




# საქართველოს გაზაფხული

**იოსებ ნონეშვილი**

ნახატი რ. ცუცქირიძისა

მეგობრებო, ეს მოხდა
ორმოცი წლის წინათ.
მოდიოდა თოვლჭყაპი —
თოვლნარევი წვიმა.

თებერვალი ჰბერავდა,
ამხედრებდა ქარებს,
გაზაფხული აღებდა
საქართველოს კარებს.

ჩვენ კი, თქვენი მამები,
მაშინ თქვენებრ ბავშვნი,
ფანჯარასთან ვიდექით,
არ გვიშვებდნენ კარში.

დღეს, ოცდახუთ თებერვლის
საზეიმო დილით
გვესმის თქვენი ჟივილი
და სიმღერა ტკბილი.

ვხედავთ, როგორ დარბიხართ,
აღმებს როგორ არხევთ.
გაზაფხულის ღიმილით
როგორ გიკრთით სახე.

ხარისძირას, ენძელას
როგორ ჰკრეფთ და ჰკონავთ,
როგორ რთავთ და შეჰხარით
თქვენს საყვარელ სკოლას.

ჩვენ კი, თქვენი მამები,
მაშინ თქვენებრ ბავშვნი,
ფანჯარასთან ვიდექით,
არ გვიშვებდნენ კარში.

გარეთ ტყვია ჰკაწრავდა
საქართველოს ზეცას,
მაგრამ ხალხსაც, მთა-ბარსაც
განა ძაძა ეცვა?

(გაგრძელება 6—7 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარსკვლავიანები

ვლ. ასლამაზიშვილი

ნახატები ლ. დანელიასი

სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბის საშუალო სკოლის მეორე კლასელებს ვინ დაემდურებათ! თითისხელები რომ არიან, ასე კი ნუ უყურებთ. სწავლაში არავის ჩამორჩებიან და შრომისმოყვარეობითაც გაითქვეს სახელი.

ყველას ერთნაირი ვარსკვლავი უბნევია გულზე. ვარსკვლავი ათასგვარია. ეს კი სულ სხვაა და სხვა ელვარება აქვს.

ჯგუფის ხელმძღვანელმა პიონერმა თამილა ხუციშვილმა ასე უთხრა ბავშვებს:

— ოქტომბრელებო, ამ ვარსკვლავის ტარების ღირსნი უნდა იყოთ!

* * *

სკოლის წინ იმხელა სასწავლო ნაკვეთია, რომ შემოიარო, დაიღლები. რას არ ნახავთ აქ: მავთულზე გაყვანილ რქაწითელს, თუთის, ქლიავის, ვაშლის, მსხლის ნერგებს, ბოსტნეულის კვლებს დეკორატიული მცენარეები ზამთარზაფხულ მწვანედ ხასხასებენ. აქვეა მეფუტკრეობა „პიონერის“ ხუთიოდე სკა; ბავშვები გვპირდებიან—გაისად ათი გვექნებაო.

საფუტკრის მახლობლად ყვავილნარია, მას ოქტომბრელები უვლიან.

— თუ ყვავილი ბევრია, ფუტკარი ბევრ თაფლს მოგვცემს,—ამბობს ოქტომბრელი ლალი კოჭლამაზაშვილი და ვარდის ბუჩქს სარეველა ბალახებს ფრთხილად აცლის,—ეშინია, ეკალმა არ მიჩხვლიტოსო.

— ჩვენი ყვავილებით სამაისოდ სკოლასაც მოვრთავთ,—ეუბნება ამხანაგებს გივი ბერიკელაშვილი და კვლებში თოხით მიწას აფხვიერებს.

ციალა ხუნაშვილი კი აუზიდან წყალს ეზიდება და ყვავილებს უმასპინძლდება.

— დალიეთ, შეგერგოთ, ყვავილებო!—ჩურჩულებს ის და ხელახლა აუზისაკენ გარბის.

— გმადლობთ, გმადლობთ, პატარებო!—ჩუმად შრიალებენ ყვავილები.







* * *

Მარტო ყვავილები და ნერგები?! ახლა სხვა საქმეც გვინდა,—აბუზღუნდა ერთხელ გივი ბერიკელაშვილი.

— ჰო, კარგი იქნება,—კვერი დაუკრა მარინე მოსაშვილმა.

— მოდით და ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელს ვთხოვოთ.

— ვთხოვოთ, ვუთხრათ!—აჟრიამულდნენ ოქტომბრელები... ვარსკვლავების მეთაურებმა ხელმძღვანელს სურვილი გაუმხილეს.

იმ დღესვე მეორეკლასელები ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის შეფები გახდნენ.

მეორე დილით ოქტომბრელებმა ჯგუფის ხელმძღვანელთან ერთად სკოლის ეზოში მოიყარეს თავი... როცა პიონერთა უფროსი ხელმძღვანელი ნუნუ ჩაფიძეც მოვიდა, ყველამ გაიხარა. აიბარგნენ და ბილიკ-ბილიკ სოფლის ზემოთ გასწიეს.

— მობრძანდით, მობრძანდით!—სიხარულით მიეგება ფერმის გამგე ამირან გოჩიტაშვილი და ეზოს კარი გამოაღო.

პატარებს მთელი ფერმა სიყვარულით შეხვდა. მართალია, ფერმას სისუფთავე არ აკლდა, მაგრამ გოგონებმა მაშინვე ცოცხსა და ნიჩბებს სტაცეს ხელი, ორ-ორმა ბიჭმა თითო სათლი აიტაცა და წყაროზე გაიქცნენ.

გაჩაღდა მუშაობა.

ეზო მორწყეს და დაგავეს. ნაგავი მოაქუჩეს და ცეცხლი წაუკიდეს. წყლის ქურჭელი დარეცხეს და წყლით აავსეს.

ბავშვებს არც ფერმის საწიწილე დავიწყებიათ. თოვლის გუნდა წიწილები იქაურობას წივწივით იკლებდნენ და გოგო-ბიჭებს ფეხებში ებლანდებოდნენ.

— აბა, როგორ დავასუფთაოთ, გვეშინია, წიწილებს ფეხი არ დავადგათ,—თქვა ოქტომბრელმა ანიკომ.

— ახლავე მოგაცილებთ! — გაიცინა დეიდა მარიამმა და საკენკით სავსე სათლი მოიტანა. დაღერღილი ქერის მარცვლები დამუქა და უხვად დაუყარა წიწილებს. წიწილები საკენკს მიესივნენ და მხიარულად აჭუკჭუკდნენ.

— მარტო ქერს აჭმევთ? რა უფრო უყვართ?—შეეკითხნენ ბავშვები.

— სიმინდის ღერღილი, დაკეპილი ხორცი; ბალახსაც გემრიელად სწიწკნიან.

— ალბათ მინდორში დაგყავთ, არა?—იკითხა ლალიმ.

— არა, არსად არ დაგვყავს, ვთესავთ ქერს და როცა მწვანედ აბიბინდება, მოვთიბავთ და წვრილად დაკეპილს ვუყრით. მწვანილეული უხდებათ წიწილებს.

ბავშვები ახლა საწიწილის დასუფთავებას შეუდგნენ: მოწმინდეს იატაკი, ფანჯრის მინებიც სარკესავით გააკრიალეს და შინისაკენ გასწიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რადგან ტყვია, ეს ტყვია
სპობდა ხალხის დუშმანს,
სიხარულით ავსებდა
ყველას—გლეხს თუ მუშას.

გარეთ, გარეთ გრგვინავდა
ქვემეხი და ვაშა,
სერგო ორჯონიკიძე
მოუძღოდა ლაშქარს.

გვერდით ჩანდა კიროვი,
ქურან ცხენზე მჯდარი,
მის შინდისფერ ყაბალახს
დროშად შლიდა ქარი.

ჯანდაბაში გარბოდა
ჩვენი ხალხის მტერი.
თენდებოდა სამშობლოს
დილა მტრედისფერი.



ნახატი თ. სამსონაძისა

დღეს რომ გულით შევხარით
დროშას ლალად გაშლილს,—
ჩვენთან ასე საჯაროდ
აღიმართა მაშინ.

და მას შემდეგ ეს დროშა,
საბჭოეთის დროშა
სიხარულის, სიცოცხლის
შუქნათელად მოსჩანს.

ამ დროშის ქვეშ დაუდგა
საქართველოს დარი,
მზედ განათდა ლენინის
სიბრძნე ჩაუმქრალი.

შენდებოდა ახალი,
ინგრეოდა ძველი.
გუგუნებდა სიტყვები:
ლენინ, ლენინ, ლენინ!

(გაგრძელება 12—13 გვ.)

გულნარა ბახტაძე

# იაპონიაში

ნახატები გ. როინიშვილისა



ჩვენ გაზაფხულზე ჩავედით იაპონიაში. ნიხონძიწი ჰქვია ამ ქვეყანას იაპონურად. და იცით, რას ნიშნავს?—ამომავალი მზის ქვეყანას. იაპონია აღმოსავლეთით მდებარეობს და მზეც პირველად ამ ქვეყანას მოეფინება ხოლმე.

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს ვესტუმრეთ. შუადღისას აქ, როგორც ფუტკრები სკაში, ისე ირევა ხალხი. დარბიან ველოსიპედები, მოტოციკლეტები, მანქანები.

ტოკიოს ქუჩები ჭრელ ხალიჩას მოგაგონებთ. ფერადი ასოებით (იეროგლიფებით) არის აჭრელებული სახლები. იაპონელებს ქალაქში რომ ვერ დაუტევიათ, ცაში აუტანიათ ათასნაირი რეკლამა. ერთი სახლის სახურავზე უჩვეულო „ალამი“ შევამჩნიეთ. ფრიალებდა თეთრად დაწინწკლული წითელი ტილოს თევზი. იცით, რატომ?—იმ დღეს თურმე ამ სახლში ბიჭი დაიბადა, ოჯახს ვაჟიშვილი შეეძინა და ზეიმობდნენ.

ტოკიო დიდი ქალაქია—მაგრამ მის ქუჩებს სახელები არა აქვს. ერთადერთი ქუჩა, რომელსაც სახელი ჰქვია, არის გიზა. გიზა—ნიშნავს ოქროს.

ოქროს ქუჩა ყველაზე ლამაზი ქუჩაა მთელს იაპონიაში. აქ ნახავთ მაღალ სახლებს, მრავალ მაღაზიას. ამ ქუჩაზეა ათსართულიანი ბავშვთა უნივერმაღი, რომლის სახურავზე ღრინავს გალიაში გამომწყვდეული ვეფხვი. მიდიხარ ტოკიოს ხმაურიან ქუჩებში და იაპონელთა ხის ქოშების—„გეტას“ ბაკაბუკი გესმის აქეთ-იქიდან.

გაზაფხულს დიდი ზეიმით ხვდებიან იაპონელები. იქაც ყველგან ჰყვავის ნუში და ალუბალი. ერთ იაპონელს ვეწვიეთ ოჯახში. მისი ოთახი თითქმის ცარიელი იყო. დაბალ მაგიდას სკამებად გარშემო ბალიშები ელაგა. მაგიდაზე სურა იდგა, შიგ კი—სამი მიხაკი. კედელზე სურათი ეკიდა, რომელზეც ალუბლის ტოტი იყო დახატული. ამას მიკიმანოს ეძახიან. ჩვენ ხომ ერთი და იგივე სურათი წლობით გვიკიდია კედელზე. ისინი კი წელიწადში ოთხჯერ ცვლიან ოთახში სურათს. ზამთარში ზამთრის შესაფერ სურათს ჩამოჰკიდებენ. მაგალითად, გამხმარ ფიჭვის ხეს და ხის ქვეშ ფეხმოკეცილ წეროს. წერო იაპონელთა საყვარელი ფრინ-



ველია. მათ სჯერათ, რომ იგი პატრონს დღეგრძელობას მოუტანს. იაპონელი აპრილში ზამთრის სურათს ჩამოხსნის და მის ნაცვლად საკურას მიკიმანოს დაჰკიდებს. საკურას ალუბალს ეძახიან. ბავშვები ჩაუსაფრდებიან ალუბლის ხეებს და როგორც კი შეატყობენ, რომ საკურა იკვირტება, მახარობლებად გარბიან. მეორე დღეს გაზეთები მთელ ქვეყანას მოჰფენენ ამბავს, რომ ხვალ საკურა გაიკვირტებაო. მაშინ ყველანი ალუბლის ბაღებში მოიყრიან თავს.

იაპონელები ალუბლის ტოტივით წელში ილუნებიან და ისე ულოცავენ ერთმანეთს გაზაფხულის მოსვლას. ერთ ასეთ ზეიმს ჩვენ კამაკურაში, „უენოს“ ბაღში დავესწარით. კამაკურა ზღვისპირა სოფელია. ბაღში ბუდას—ღმერთის დიდი ქანდაკება დგას. ქანდაკება რვაასი წლისაა და ისეთი მაღალია, რომ მარტო ყური ორსართულიანი სახლის სიმაღლისა ექნება. ბუდას ოქროს თვალები აქვს. ამ ქანდაკების წინ ლოცულობენ იაპონელები.

ბაღში ძალიან ბევრი ბავშვი იყო. ზოგს ლამაზი დედოფლები ეჭირა ხელში. უფრო მოზრდილებს ფოტოაპარატებიც ჰქონდათ. ბაღში ბიჭები „გრძელ ცირს“ თამაშობდნენ, ეს თამაში ჩვენებურ ოთურმას მოგაგონებთ.

ბუდის ქანდაკების წინ დედასთან ერთად პატარა სუმიკო და რიოსუკო მოწყენილები იდგნენ და თვალცრემლიანები ღმერთს ევედრებოდნენ.

— რაზე ლოცულობ?—ვკითხე პატარა სუმიკოს.

— მეც მინდა ლამაზი დედოფალა! — მითხრა სლუკუნით.

— შენ რაღა გინდა?—მივუბრუნდი რიოსუკოს.

— მე ფოტოაპარატი მინდა მქონდეს!—თქვა ნაღვლიანად ბიჭმა.

დედამ ჩვენს საუბარს მოჰკრა ყური და დატუქსა შვილები:

— ის გირჩევნიათ, ბუდას ბრინჯი მოსთხოვოთ, რომ მშივრები არ დარჩეთ!

იაპონელები პურის მაგიერ ბრინჯს ჭამენ. დანა-ჩანგლის მაგივრად ჩხირებს მოხერხებულად ხმარობენ. სტუმარს თეფშის ნაცვლად საჭმელს ყუთით მიართმევენ ხოლმე. ყუთი რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი სხვადასხვა ულუფისათვის. ერთში სტაფილოს ნაჭერია, მეორეში—თევზის, მესამეში—პურის მაგიერ ვაზის ფოთოლში გახვეული ბრინჯია.

იაპონელი ბავშვები თავაზიანები არიან. გმადლობთ,—ამბობენ ისინი, როცა რამეს ეკითხები. უკაცრავადო,—მოგიხდიან ბოდიშს, თუკი ფეხი დაადგი.

ბავშვებს სუმიკოს და რიოსუკოს ჩურჩხელები მივეცი. სუმიკოს პირველად ჯოხი



ეგონა და მოილუშა. იფიქრა, ცემას ვუპირებდი.

რიოსუკომ კი ჩურჩხელა ჰაერში დაატრიალა და დაიჭიხვინა, ვითომ ცხენს აჭენებდა. მაშინ ერთი ჩურჩხელა კიდევ ამოვიღე და მოვკბიჩე. ბავშვებმა მომბაძეს და შევატყვე, დაშაქრული ჩურჩხელა ეამათ.—დომარიგატო! —მადლობას მიხდიდნენ ბიჭები.

# მზე იცინის



ოქტომბრელთა ერთდროული გაზეთი.

## „პიონერები ოქტომბრელების მეგობრები არიან“

### თოჯინების თეატრი

ერთხელ დუშეთის 1-ლი სკოლის ოქტომბრელებში ხმა გავარდა, ჩვენთან თოჯინების თეატრი მოდისო.

— უჰ, შენი გულისა, რა კარგია! — შესძახეს პატარებმა.

გაკვეთილები რომ დამთავრდა, ოქტომბრელებთან მეშვიდეკლასელები შევიდნენ.

— ეს რა თეატრია! — უკვირდათ პატარებს და თან თვალს არ აშორებდნენ პიონერების ფაციფუცს.

მალე წარმოდგენა დაიწყო. გამოჩნდა ყურცქვიტა, მელაკუდა და მამლაყინწა. ბავშვებს ძალიან მოეწონათ ისინი, მათ ოინებზე გულიანად იცინეს და ასე დაასკვნეს:

— ძალიან კარგი თეატრი ყოფილა!

### „განდაგანა“ უჩაქუროდ?!

სოფელ ტყვიავის კულტურის სახლში პიონერებს საღამო უნდა გაემართათ მშრომელებისათვის. კონცერტში ოქტომბრელებიც მონაწილეობდნენ. ისინი „განდაგანას“ ცეკვავდნენ.

— „განდაგანა“ უჩაქუროდ? — იკითხა გაკვირვებულმა დარეჯანმა, — როგორ შეიძლება! მოდით, გოგოებო, შევუკეროთ პატარებს ჩაქურები!

— შევუკეროთ, — თქვეს პიონერებმა და ერთ დღეში 13 ჩაქურა მზად იყო.

კონცერტზე ოქტომბრელებმა შესანიშნავად შეასრულეს „განდაგანა“. მათ ძალიან უხდებოდათ შინდისფერი და თეთრი ზონრებით გაწყობილი შავი ჩაქურები.

### ჩვენი ეზო

ჩვენი ეზო, ჩვენი სახლი
სულ პატარა არის.
ეზოს გარეთ, განაპირას
მოჩუხჩუხებს წყალი.

წყალთან კიდევ იებია
ნაზად მომღიმარი.
კლდეზე ზურა გადმომდგარა
ჯოხის კოხტა ხმალით.

ნუგზარ კალანდაძე
თბილისის 1-ლი სკოლის
მოსწავლე



ეს მედოლეები მიუძღოდნენ აჭარის პიონერთა საოლქო შეკრების კოლონებს. შეკრება საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს მიეძღვნა.
საღამო პიონერებმა აანთეს 40 კოცონი.

ეს იგავი ვაჟა მოსაშვილმა ჩაიწერა. თურმე სოფელ ასანურში მოხუცმა სიკო ბერიაშვილმა უამბო. ვაჟა სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის მესამე კლასის მოსწავლეა. მას ძალიან უყვარს ზღაპრების მოსმენა და შეგროვება.

### «კბილი მტკივა»

— სანდრო, [illegible]ზე! — უთხრა ბებიამ შვილიშვილს.

— წავიდოდი, მაგრამ კბილი მტკივა, — უპასუხა სანდრომ.

ცოტა ხნის შემდეგ ბებო ჩურჩხელისათვის თხილის დამტვრევას შეუდგა და ისევ სთხოვა სანდროს:

— ქვა მომიტანე და შენც მომეხმარე.

— ქვა რად მინდა, ამ თხილს სულ კბილით დავამტვრევ, — უპასუხა სანდრომ.

### ქუჩა კი არა, ხეივანია!

— აბა, ვინ უფრო სწრაფად დავთვლით, რამდენი ხეა ამ ქუჩაზე? — უთხრა სკოლიდან შინ მომავალმა ნუციკომ თანაკლასელებს. ის იყო ბავშვებს თვლა უნდა დაეწყოთ, რომ ვიღაცის ხმა მოესმათ. მიიხედეს და წითელყელსახვევიანი ბიჭი დაინახეს.

— ჯერ ერთი, ეს ქუჩა კი არა, ხეივანია, — უთხრა მან ღიმილით პატარებს, — მეორეც, ის, რომ პირველკლასელები ასამდე ძლივს ახერხებთ დათვლას, აქ კი...

აქ კი ათასამდე ხე იყო დარგული. ეს ხეივანი დაბის ცენტრში გააშენეს ადიგენის საშუალო სკოლის პიონერებმა.

### უჰ, რამდენი თევზია!

ხომ ლამაზია, აკვარიუმში რომ ფერადფერადი თევზები დასრიალებენ! ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის სკოლის ეზოში პიონერების გაკეთებული აუზი რომ ნახოთ, აკვარიუმის სილამაზე დაგავიწყდებათ.

80 მეტრის სიგანე და სიგრძე აქვს ამ აუზს. შიგ 400 თევზი დასრიალებს. პიონერები ამბობენ: ეს რა არის, ორწლედის ბოლოს ათასზე მეტი გვეყოლებაო!

## ოქტომბრელთა ახალი ამბები

### მამაცი ელისო

სოფელი დიდი ლილო ხომ გაგიგონიათ? სამგორის რაიონშია. ამ სოფელში ახლა ყველა იცნობს ოქტომბრელ ელისო არსოშვილს. ერთხელ ელისომ დაინახა, რომ სოფლის მაღაზიის გვერდით რაღაც იწვოდა. ელისომ იცოდა, რომ იქ ნავთის საწყობი იყო და ძალიან შეშინდა.

შეშინდა, მაგრამ როდი დაიბნა. მაშინვე ფოსტაში გაიქცა და ფოსტის გამგეს შეატყობინა. გამგემ ტელეფონით სახანძრო რაზმი გამოიძახა.

ოქტომბრელმა ელისო არსოშვილმა ასე გადაარჩინა დაწვას მაღაზია.

### ქება დაიმსახურეს

იცით, რა ყოჩაღები არიან გურჯაანელი ქეთინო ლათიბაშვილი, გოგი ჯაჯანაშვილი და ავთანდილ ჯობინაშვილი? ისინი ჯერ მეორე კლასში არიან, და უკვე ეხმარებიან თავიანთ უფროს მეგობრებს — პიონერებს. შეაგროვეს ჯართი და ასკილი, რისთვისაც პიონერების ქება დაიმსახურეს.

მეორეკლასელი ოქტომბრელები საბავშვო ბაღის ბავშვებთანაც მეგობრობენ. საბავშვო ბაღელებს სათამაშოები დაუმზადეს და პატარა კონცერტიც მოუწყვეს.



გამარჯობა, ჭანჭიკელა! სტუმრები გეწვიეთ გაზეთ „ნორჩი ლენინელი“-დან. მე ხრახნილა ვარ, ეს ძია გიგოა, ეს კიდევ მალხაზ ფხიზელია.

რედაქციამ დაგვავალა, წადით ჟურნალ „დილა“-ში და პატარებს პიონერთა ამბები მოუყევითო. ჩვენც მოვედით და თან საჩუქრად ეს გაზეთი მოგიტანეთ.



ნახატი ე. ამბოკაძისა



ამ დროშის ქვეშ აყვავდა
ჩვენი მთა და მდელო,
ამ დროშის ქვეშ გალაღდა
დედა საქართველო.

დღესაც ჩვენი მთა-ბარი
ამ დროშის ქვეშ ჰყვავის.
რკინის ხარმა—ტრაქტორმა
შეუტია ყამირს.

აღიმართნენ ქარხნები
და გაშალეს მხარი,
ქედებს, როგორც ღრუბლები,
მოეფინა ცხვარი.

ამ დროშის ქვეშ სამგორის
და კოლხეთის ველი
დაიფარა ბაღების
ლურჯი ცისარტყელით.



ნახატი თ. სამსონაძისა

გადაება ბაღი ბაღს
და ვენახი ვენახს,
თვალში ჩადგა ღიმილი,
გულში ჩადგა ლხენა.

ამ დროშის ქვეშ, ვინ მოსთვლის,
კაცი რას არ შესძლებს,
ჰა, ქართული მანქანა
გავაქროლეთ გზებზე.

თქვენც ეს დროშა დაგჭარით,
ამ დროშის ქვეშ მღერით.
ბავშვობა გაქვთ ლამაზი,
ლაღი, უდარდელი.

აღიმართა ეს დროშა
ორმოცი წლის წინათ.
იმ დღეების ნათელი
კიდით-კიდე ბრწყინავს.

ი. გოგებაშვილის „დედაენიდან“

# ცრუ



ბავშვი ცხვრებს აძოვებდა. თითქო მგელი დაინახაო, დაიწყო ყვირილი: მიშველეთ, მგელიო.

გლეხები გაიქცნენ, ნახეს, ტყუილი იყო. ასე მოატყუა მეორეთ და მესამეთ. მეოთხეთ მგელი მართლა მიუვარდა. ბავშვმა მორთო ყვირილი: არიქა, მიშველეთ, მგელიო! გლეხებს ეგონათ, კიდევ გვატყუებსო, და ყურიც არ ათხოვეს. მგელი უშიშრად დაერია ცხვრებს.

ანდაზა: **ტყუილს მოკლე ფეხები ასხია.**

# ვარიკა და ყვინჩილა

ზღაპარი

და-ძმანი ყვინჩილა და ვარიკა ერთად ცხოვრობდნენ და ერთმანეთის დიდი სიყვარული ჰქონდათ.



ერთხელ გაზაფხულზე ყვინჩილა ბაღში გაიქცა და მკუხე მაყვალს კენკვა დაუწყო. ვარიკა უკან დაედევნა და მისძახოდა:

— ნუ სჭამ, ძმაო, მაგ მწვანე მაყვალსა! მოითმინე, სანამ დამწიფდებოდეს, თორემ გაწყენსო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყვინჩილამ არ დაუჯერა. მკუხე მაყვალი ბევრი კენკა, ავად გახდა და შინ ძლივს მიაღწია.



— ვაიმე, ვაიმე!—ყვიროდა ყვინჩილა.— ვკვდები, დაო, ვკვდებიო!

ვარიკამ ჰიტნის ჩაი დაალევინა, ოფლი მოადინა და ძმა მოარჩინა.

ყვინჩილა რომ მორჩა, მაშინვე მინდორში გაიქცა. ბევრი ირბინა, იხტუნა, გახურდა და ოფლი დაასხა. ამ დროს წყალი მოსწყურდა და ცივი წყლის დასალევად წყაროზე გაიქცა. ვარიკამ რომ დაინახა, დაუძახა:



— მოითმინე პატარა ხანს, ძმაო, დაისვენე, ოფლი შეიშრე და მაშინ დალიე წყალი, თორემ გახურებულ გულზე ცივი წყალი გაწყენს და ისევ ავად გახდებიო.

ყვინჩილამ ვარიკას არ გაუგონა. დაღლილ გულზე ცივი წყლით გაიბერა და მაშინვე მაგმაგი დააწყებინა. ვარიკამ ძლივ-ძლივობით მიიყვანა შინ ყვინჩილა, დააწვინა ლოგინში და ექიმთან გაიქცა.

ექიმმა ავადმყოფს ქინაქინის სმა დააწყებინა. ყვინჩილამ ლოგინში ბევრი იკვნესა.

საზამთროდ მორჩა. როცა კარზე გამოვიდა, რუ გაყინული დაინახა და ყინულზე ცურაობა მოინდომა. ვარიკა კი ეუბნებოდა:



— დაიცადე, ძმაო, ყინული ჯერ თხელია, გასქელდება და მაშინ, რამდენიც გინდა, იმდენი იცურავე, თორემ ჩაგემტვრევა და დაიხრჩობიო!

ყვინჩილამ ახლაც არ გაუგონა თავის დას და ყინულზე ცურაობა დაიწყო. ყინული უცებ ჩატყდა და ყვინჩილა შიგ ჩავარდა.

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

# ᲕᲔᲗᲐᲛᲐᲨᲝ

Ჯ. ᲜᲘᲥᲐᲑᲐᲫᲔ

ბებომ მითხრა:
— რასაც ერთხელ
გეტყვი, უნდა გამიგო,
ნურსად წახვალ, გენაცვალე,
ეთამაშე ძამიკოს.—
ის ხომ ძლიერ პატარაა,
მე კი გავხდი სამი წლის,
აბა, როგორ ვეთამაშო,
ლაპარაკიც არ იცის!



# ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲓᲔ

ნახატები Ი. ᲐᲠᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

Თ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ

ციცინო და ციალა სილაში თამაშობდნენ. ციალას ნიჩაბი გაუტყდა. ამ დროს დედამ დაუძახა ციალას, შინ მოდიო. ციალამ იფიქრა, ალბათ დედამ ნიჩბის გატეხა გამიგოო, და ციცინოს უთხრა:

— არ წახვიდე, დედა ცოტას გამიწყრება, მეც ცოტას ვიტირებ, მოვალ და ისევ ვითამაშოთო!



Მ. ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ

## ᲛᲐᲢᲐᲜᲢᲐᲚᲐ ᲥᲣᲓᲘ

— აი, ნანას ქუდი, ჩვენთან დარჩა!

ქუდი ხან ერთ მეზობელს მოაქვს, ხან მეორეს, ხან მესამეს. დღესაც პატარა დათომ მოარბენინა.

— ბოლოს და ბოლოს რას დატანტალებს ეს შენი ქუდი, არც მორიდება აქვს, არც სირცხვილი, შინ მოსვლაც კი ავიწყდება,—იწყინა ბებომ.

პატარა ნანამ ცალი თვალით შეხედა გამწყრალ ბებიას, აიღო ქუდი, საჩქაროდ დიდი კარადის დიდ უჯრაში ჩაკეტა და ნიშნის მოგებით თქვა:

— ახლაც იტანტალოს, აბა!



## ᲭᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲨᲚᲘ

ბებომ დათოს ორი ვაშლი მისცა:

— ერთი შენ, ერთი ლიას!—ასე გაანაწილა.

დათომ ვაშლები ერთმანეთს დაატოლა და მოზრდილი თვითონ დაიტოვა.

ლიამ კუთვნილი ვაშლი გემრიელად ჩაკბიჩა, ალარც დათომ დაახანა, მაგრამ უკაცრავად,—ჭიანი გამოდგა.

— ეჰ, არ სჯობდა პატარა ყოფილიყო და საღი?!—გულში ინანა დათომ.




„დილა" № 3-ში მოთავსებული რებუსის ახსნა:
„სულ ამას ვნატრობ მელია,—ვიყო საქათმის მცველია".



## ᲧᲕᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲙᲐᲚᲘ

Დ. ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ერთმა ყვავმა-ყვანჩალამ
ხეზე ნახა კაკალი.
გაეხარდა, სიხარულით
ტოტზე მორთო ყრანტალი.
აიტაცა მაღლა ცაში,
დაანარცხა მაგრად კლდეს,
გატეხა და კაკლის გულსაც
გემრიელად მიირთმევს!



## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

Ზ. ᲮᲐᲕᲗᲐᲡᲘ

— წერილს ვის სწერ, დალი?
— ისევ ჩემს თავს, ლია.
— წამიკითხე აბა.
— ჯერ არ მიმიღია!



## ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

Თ. ᲛᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ღიღით ისე მოთხვრილიყო
ათასნაირ მურაბით,
რომ ფისომაც ვეღარ იცნო
მეგობარი ზურაბი.



## ᲒᲐᲓᲐᲰᲮᲢᲔ?

Გ. ᲘᲠᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მზადა ვარ გადახახტომად,
გაზმული არის ბაწარი,
რაღა გადავხტე, გაძრომა
უფრო ადვილი არ არის?!

## ᲣᲖᲑᲔᲙᲣᲠᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲔᲑᲘ

**Დ** აკარგულ დანას ტარი ოქროსი ჰქონიაო.

**Ჭ** კუა რეგვენისაგანაც ისწავლებაო.

**Ქ** ორის ბუდეში ბუღბულიც გამოიჩეკებაო.

**Ბ** ატკანი ფარას რომ მოსცილდება, მგლის კერძი გახდებაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა







# კუბელ ბავშვთა

ახლახან კუბაში ვიმოგზაურეთ. კუბის რესპუბლიკა ჩვენგან ძალიან შორს, ლათინურ ამერიკაში მდებარეობს.

კუბელები მამაცი და შრომისმოყვარე ხალხია. ისინი დღეს თავისუფლებისათვის იბრძვიან. მათი ბელადი არის ფიდელ კასტრო. კუბელმა ხალხმა ფიდელ კასტროს მეთაურობით გადაწყვიტა, თავისი ბედი თვითონ განაგოს და ამერიკელთა ბატონობისაგან განთავისუფლდეს.

ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ კუბაში. ვესტუმრეთ სასოფლო-სამეურნეო სკოლა-ინტერნატსაც, რომელიც სიერა-მაესტროს დაბლობში მდებარეობს.





# ნახატები

ამ სკოლაში ხუთასი ბავშვი სწავლობს. ბავშვები სწავლასთან ერთად შრომასაც ეჩვევიან; მათ საინტერესო „სტამბაც“ აქვთ მოწყობილი. თვითონ რომ დაწერენ ლექსებსა და პატარა მოთხრობებს, თვითონვე დაასურათებენ; შემდეგ ააწყობენ და ხელის პატარა მანქანაზე დაბეჭდავენ.

აი, ეს ნახატები დაბეჭდილია პატარა ჟურნალებში, რომლებიც კუბელმა ბავშვებმა საჩუქრად თქვენთან გამოგვატანეს. ჟურნალები ჩვენს თვალწინ დაბეჭდეს, აკინძეს და გადმოგვცეს.

ა. ლვინიაშვილი





6-104/195
ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეადგინეთ მოთხრობა

ქ. ზოზიაშვილი
ნახატები ა. კანდელაკისა



ყდის მხატვრობა ეკუთვნის რევაზ წუქირიძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, ქ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეთოთხმეტე წელი — ფასი 20 კაპ.

ტექ. რედაქტორი ი. არდიშვილი — რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

გამომცემლობა „ნაკადული“, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 87, სტამბის შეკვ. № 787
ტირაჟი 32000 ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/III 1961 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина
№ 4, Апрель, 1961 г. Тбилиси, просп. Плеханова 91.